ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N235

13 აგვისტო 2014 წელი

ქ. თბილისი

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, ვახტანგ ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ჯი-ეს-სი (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის სულიკო სიმაევის სახით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის "ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი და გარანტია

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მისაღებში დასამონტაჟებელი შიდა ხედვის კამერისა და მის დასამონტაჟებლად საჭირო მოწყობილობების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით (CPV კოდები და საქონლის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დანართ №1-ში)

2.2 მიწოდებულ საქონელზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთ წლიანი საგარანტიო ვადა, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიწოდებული საქონლის (კამერის ან მოწყობილობების) დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებული ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან ნებისმიერი სახით განხორციელებული შეტყობინების მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთოს დაზიანებული საქონელი ან შეცვალოს იგი ახალი ანალოგიური პარამეტრების მქონე საქონლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 872 (რვაასსამოცდათორმეტი) ლარს;

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია დანართ 1-ში

3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს, მათ შორის მონტაჟის ხარჯებსაც.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების და მონტაჟის ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღე.

4.2. საქონლის მიწოდების და მონტაჟის ადგილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მეოთხე სართული, მისამართი ქ. თბილისი, გ.გულუას ქ N6.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი (IT) სპეციალისტს ზაქარია გიუნაშვილს.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, საქონლის, სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **"შემსყიდველი" უფლებამოსილია:**

ა) "მიმწოდებლისგან" მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება;

ბ) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

7.2. **"შემსყიდველი" ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. **"მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის (ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი) საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა მიწოდებული საქონლის ბრალეულობით გამოწვეული მატერიალურ და არამატერიალურ ზარალზე;

ბ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი (IT) სპეციალისტი ზაქარია გიუნაშვილი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის".

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ან/და შემსყიდველის ინიციატიით საქონლის დადგენილ ვადებში მიუწოდებლობის შემთხვევაში.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 2 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის ოცდაათ სექტემბრამდე.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები და გარანტია

15.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს;

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	**შპს ჯი-ეს-სი**
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6	**მის:** ქ. თბილისი, მინდელის ქ. N5
ტელეფ: 2727200, 2727220, 2727237	**ტელ:** 2 432 432; 2 11 00 55
ელ/მ: www.moe.gov.ge	
ს/კ: 204861943	**ს/კ:** 211368508
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,	**საბანკო რეკვიზიტები:** სს " ბანკი რესპუბლიკა "
კოდი: 220101222,	კოდი:REPLGE22
ა/ა: 200122900	ა/ა GE 60 BR 000000000 44 877 41
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	**დირექტორი**
ვახტანგ ნოზაძე	**სულიკო სიმაევი**
---	---

ჩვენ შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერნი, მიმწოდებლის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) დადგენილ წესებს.

მოამზადა:
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარმა
სპეციალისტმა, სამმართველოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებლმა: ძალხაზ ლაბაძე

შეთანხმებულია:
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების
სამმართველოს მთავარი (IT) სპეციალისტი: ზაქარია გიუნაშვილი

დანართი 1

№	მოდელი	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი	სულ ფასი	CPV
1	KPC-E190	შიდა მონტაჟის ცილინდრული ფორმის ფერადი კამერა	2	231.00	462.00	35125300
2	EPR-15	კვების ბლოკი 1ა	2	34.00	68.00	31241000
3	10030CBR	საკაბელო არხი	8	1.80	14.40	31224400
4	mcoax+1	კომბინირებული კოაქსიალური კაბელი	40	1.20	48.00	31224400
5	სამონტაჟო–გასამართი სამუშოები				279.60	
ჯამი					872.00	

"შემსყიდველი"

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი

ვახტანგ წოწაძე

"მიმწოდებელი"

შპს ,,ჯი-ეს-სი"
დირექტორი

სულიკო სიმაევი